



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

კინო-ტელე ფაკულტეტის დებულება

დამტკიცებულია კინო-ტელე ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

2024 წლის 28 თებერვალი ოქმი N3

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

2024 წლის 2 მაისს ოქმი N6

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. ეს დებულება ადგენს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში: უნივერსიტეტი) კინო-ტელე ფაკულტეტის (შემდეგში: ფაკულტეტი) საქმიანობის წესს და განსაზღვრავს ფაკულტეტის სტრუქტურას;

1.2. დებულების მოქმედება ვრცელდება ფაკულტეტის მართვის ორგანოებზე, აკადემიური პერსონალსა და პედაგოგებზე.

მუხლი 2. ფაკულტეტის ცნება და სტატუსი

2.1. კინო-ტელე ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულს.

2.2. კინო-ტელე ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და პირების წინაშე წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2.3. კინო-ტელე ფაკულტეტი იქმნება უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

2.4 კინო-ტელე ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხისმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან.

მუხლი 3. ფაკულტეტის ფუნქციები

3.1. ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხისმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან;

3.2. ფაკულტეტის უმთავრესი მიზანია ფაკულტეტზე არსებული მიმართულებების (მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ტელერეჟისურა, ხმის რეჟისურა, კინო-ტელე ოპერატორი) სპეციალობების განვითარება ამ დარგებში აკადემიური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა.

თავი II ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. ფაკულტეტის მართვის ორგანოები

4.1. კინო-ტელე ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. ფაკულტეტის სტრუქტურა

5.1. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანის მოადგილე), ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები;

5.2. კინო-ტელე ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის:

5.2.1 სასწავლო სტუდია;

5.2.3 სასწავლო ტელევიზია.

5.3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სტრუქტურული ერთეული.

5.4. ფაკულტეტის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება დეკანის წარდგინებით მიღებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭო

6.1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

6.3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს (აკადემიური პერსონალის) სრული შემადგენლობის $\frac{1}{4}$ -ით (ერთი მეოთხედი).

6.4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები იმართება თვეში არანაკლებ ერთხელ. რიგგარეშე ფაკულტეტის საბჭოს სხდომა შეიძლება იყოს მოწვეული საბჭოს წევრთა $\frac{1}{4}$ -ის (ერთი მეოთხედი) მოთხოვნით.

6.5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც აწარმოებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

7.1. განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

7.2. თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

7.3. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

7.4. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

7.5. ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

7.6. უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

7.7. დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, ფარული კენჭისყრით.

7.8. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით გასცემს რეკომენდაციას რექტორობის კანდიდატებზე.

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანი და მისი არჩევის წესი

8.1 დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი და წარმოადგენს ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წინაშე, იგი უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

8.2. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

8.3. დეკანის კანდიდატად რეგისტრაციისთვის აუცილებელია მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაციისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

8.4. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კანდიდატების რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 10 დღე, რის შემდეგადაც იმართება კენჭისყრა. კანდიდატთა რეგისტრაციისა და კენჭისყრის თარიღს ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

8.5. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

ფაკულტეტის დეკანი:

9.1. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

9.2. შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

9.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებისთვის;

9.4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებას);

9.5. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

9.6. პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისთვის;

9.7. ახორციელებს კანონმდებლობით და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

9.8. ხელმძღვანელობს და ანაწილებს ფუნქციებს თანამშრომლებს შორის;

9.9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს ფაკულტეტის განვითარების კონცეფციას და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოსათვის განსახილავად.

9.10. სასწავლო წლის დაწყებამდე წარადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანის მოადგილეები

10.1. დეკანს ჰყავს მოადგილეები, რომელსაც/თაც დეკანის მიერ წარდგენილი კანდიდატურების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს კანცლერი;

10.2. დეკანის მოადგილე მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და მისი ეფექტურად წარმართვის საორგანიზაციო პროცესებში;

10.3. დეკანის სახელით ამზადებს სხვადასხვა მოხსენებითი ბარათებს;

10.4. უზრუნველყოფს საბაკალავრო-სალექციო ცხრილის მომზადებას;

10.5. ახორციელებს სტუდენტთა საორგანიზაციო საკითხების /კურსიდან კურსზე გადაყვანა; აკადემიური დავალიანება; სტატუსის შეწყვეტა; შეჩერება, აღდგენა/ მოწესრიგებას;

10.6. მონაწილეობს დამამთავრებელი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის პროექტის მართვაში;

10.7. უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და პედაგოგთა ცნობების მომზადებას;

10.8. საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელის დავალებით გეგმიური/არაგეგმიური სხვადასხვა მონაცემების შეგროვება-მომზადებას;

10.9. კომპეტენციის ფარგლებში ახდენს ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიებების ხელშეწყობა-დახმარებას; სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურთან კოორდინირებას;

10.10. ასრულებს დეკანის მოვალეობას დეკანის ავადმყოფობის, მივლინებაში და შვებულებაში ყოფნის დროს.

10.11. დეკანის მოადგილე ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.

მუხლი 11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

11.1 ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

11.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

11.3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას.

11.4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

12.1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენილი კანდიდატურის/ების საფუძველზე;

12.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

12.3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ხელს უწყობს სწავლების მაღალი დონის უზრუნველყოფას ფაკულტეტზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვის გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას;

12.4. ამზადებს ფაკულტეტის თვითშეფასებას, შეისწავლის და აანალიზებს ფაკულტეტის პროგრამებისა და გეგმების შესრულების უზრუნველყოფას;

12.5. შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;

12.6. კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის, გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

12.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მონიტორინგს; ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ხარისხის შეფასებას; აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასებას;

12.8. ხელმძღვანელობს და ახორციელებს აკადემიურ სფეროში ფაკულტეტის საქმიანობის თვითშეფასების პროცესის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მომზადებას.

თავი III ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 13. აკადემიური პერსონალი

13.1. აკადემიურ თანამდებობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

13.2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13.3. ასისტენტი ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

13.4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო.

13.5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება- მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 14. მასწავლებელი და მოწვეული პერსონალი

14.1 აკადემიური პროგრამების განხორციელებისთვის ფაკულტეტი უფლებამოსილია დაასაქმოს მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი.

14.2. უფროსი მასწავლებელი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან დოქტორთან გათანაბრებული პირი და მისი საათობრივი დატვირთვა უნდა შეადგენდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საათების რაოდენობას (არანაკლებ 6 საათისა კვირაში).

14.3. მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა უნდა შეადგენდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საათების რაოდენობას (არანაკლებ 8 საათისა კვირაში).

14.4. საათობრივად მოწვეული მასწავლებლის/სპეციალისტის დატვირთვა ანაზღაურდება მის მიერ ჩატარებული საათების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 15. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

15.1. ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი ასრულებს ფაკულტეტის მართვის ორგანოების დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დავალებებს და ეწევა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას.

15.2 კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები და საქმისწარმოების სპეციალისტი.

15.3. საქმისწარმოების სპეციალისტს ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში ევალება:

15.3.1. სხვადასხვა სახის გამოკითხვების ორგანიზება/ჩატარება და მიღებული მონაცემების შეგროვება, შედეგების შეკრება;

15.3.2. სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება /აკადემიური მოსწრების შედეგები, პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები/ და შედეგების ანგარიშების ტექნიკური მომზადება;

15.3.3. სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

15.3.4. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით ფაკულტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია.

15.4. საქმის წარმოების ნაწილში ევალება:

15.4.1 დახმარება სასწავლო ცხრილების მომზადებაში;

15.4.2 საკვალიფიკაციო გამოცდების კოორდინირება, საგამოცდო პროცესების

15.4.3 ორგანიზება;

15.4.4 საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელის დავალებით გეგმური/არაგეგმური

15.4.5. სხვადასხვა მონაცემების შეგროვება-მომზადება;

თავი IV

ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები და მიმართულებები

მუხლი 16. საგანმანათლებლო პროგრამა

16.1. საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შექენაზე დაფუძნებული,

სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ცალკეული საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მიხედვით;

16.2. საბაკალავრო პროგრამის აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები;

16.3. სამაგისტრო პროგრამის აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები, კვლევითი კომპონენტი და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით;

16.4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან (შეიძლება შედგებოდეს მოდულებისგანაც) და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.

16.5. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით;

16.6. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

16.7. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

17.1. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემადგენელი მოდულის ხელმძღვანელი (შემდგომ მოდულის ხელმძღვანელი) შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;

17.2. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით;

17.3. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე, ხოლო სადოქტორო პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ხარისხზე;

17.4. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე;

17.5. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;

17.6. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინაციით, შეიმუშავებენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორები.

მუხლი 18. ფაკულტეტის სასწავლო მიმართულებები

18.1. ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი სასწავლო მიმართულებები:

18.1.1. მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა

18.1.2. ტელერეჟისურა

18.1.3. ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები

18.1.4. ხმის რეჟისურა

18.1.5. კინო-ტელე ოპერატორი

მუხლი 19. ფაკულტეტის სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელი

19.1. სასწავლო მიმართულების ხელმძღვანელია შესაბამისი დარგის პროფესორი (პროფესორის აკადემიური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი

მიმართულების ასოცირებული პროფესორი);

19. 2. სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელობა არაანაზღაურებადია.

თავი V ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 20. ფაკულტეტის ბიუჯეტი

20.1. ფაკულტეტის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის მიერ.

20..2. ფაკულტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი.

თავი VI დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

21.1 წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

21.2 წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად დებულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დებულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

21. 3 წინამდებარე დებულებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის მოქმედ შიდა კანონმდებლობას შორის სამართლებრივი კოლიზიის დროს, უპირატესობა მიენიჭება ამ უკანასკნელს.

21.4 დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე. მისი დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით წარმომადგენლობით საბჭოს.

21.5 წინამდებარე დებულების ამოქმედებით, უნივერსიტეტში უკვე არსებული-წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებული *2017 წლის 15 დეკემბერი ოქმი N21* დებულების ცვლილება კარგავს ძალას და ზემოხსენებულ საკითხზე იურისდიქცია გააჩნია მხოლოდ წინამდებარე დებულებას.